საქმე N2/1145-19

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

05 დეკემბერი, 2019 წელი **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს

მოსამართლე - ციცინო მოსიძე

მეურვე: სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო“
წარმომადგენელი: მიხეილ ლომთაძე

მოვალე: შპს "იმპერიალი 2000"
წარმომადგენელი: ამირან მალაყმაძე (დირექტორი)
წარმომადგენელი - მირიან კვირიტიძე

კრედიტორი: სს "ბანკი ქართუ"
კრედიტორი: სს "დაზღვევის კომპანია ქართუ"
კრედიტორის წარმომადგენელი: ნათია ჩაჩანიძე

კრედიტორი: სსიპ შემოსავლების სამსახური
კრედიტორის წარმომადგენელი: მადონა გეწაძე

კრედიტორი: შპს "აგრიკომი"
კრედიტორის წარმომადგენელი: მიხეილ ვაშაკიძე

კრედიტორი: შპს "გალტამი"

მოთხოვნა - კრედიტორის მოთხოვნის აღიარება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განხილვაშია შპს „იმპერიალი 2000"-ის გადახდისუუნარობის საქმე.

2019 წლის 15 მაისს შპს „იმპერიალი 2000"-ის სახელით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მომართა ამირან მალაყმაძემ და მოითხოვა კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 ივნისის განჩინებით შპს „იმპერიალი 2000“-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში. მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო). განჩინება განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2019 წლის 21 ივნისს.

2019 წლის 03 ოქტომბერს შპს ,,იმპერიალი-2000“-ის კრედიტორთა პირველი კრება გადაიდო და მოწვეულ იქნა შემდეგი დღის წესრიგით: 1. კრედიტორად აღიარების საკითხის განხილვა; 2. კრედიტორთა რეესტრის დამტკიცება; 3. მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა. კრება მოწვეული იქნა **<u>2019 წლის 29 ოქტომბერს 13:00 საათზე;</u>**

2019 წლის 29 ოქტომბერს გადადებული კრება ვერ ჩატარდა, ვინაიდან 2019 წლის 09 ოქტომბერს (ფოსტის მეშვეობით გადმოგზავნილია 8 ოქტომბერს) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კერძო საჩივრით მომართა მოვალე შპს „იმპერიალი 2000“-ის დირექტორმა და მოითხოვა 2019 წლის 03 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება სს ,,ბანკი ქართუს“ მოთხოვნის 9 069 095.14 ლარის აღიარების ნაწილში და მოითხოვა პირგასამტეხლოს შემცირება 379 087.57 ლარამდე.

2019 წლის 15 ნოემბერს, 28 ნოემბერს და 29 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „იმპერიალი 2000"-ის წარმომადგენელმა და ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოითხოვა ნებართვის გაცემა დანართის სახით წარმოდგენილი დამატებით თანამშრომლებზე შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება 6 თვის ვადით.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას, გაეცნო საქმის მასალებს, მიაჩნია, რომ შპს "იმპერიალი 2000"-ის გადახდისუუნარობის საქმეზე მოწვეულ უნდა იქნეს კრედიტორთა კრება.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის ოცდამეორე ნაწილის თანახმად, კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 3 დღით.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწვეულ იქნეს კრედიტორთა კრება 2019 წლის 23 დეკემბერს 15:00 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქალაქი ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) სხდომის დარბაზი №5, შემდეგი დღის წესრიგით:

1) კრედიტორად აღიარების საკითხის განხილვა;
2) კრედიტორთა რეესტრის დამტკიცება;
3) მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში;

3. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებ. გვერდებზე. განჩინების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ. გვერდზე გამოქვეყნება დაევალოს გაკოტრების მმართველს;

4. განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ქუთაისი კუპრაძის №11). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე: **ციცინო მოსიძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.12.06 15:45:34 +04'00'